ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 275

11 სექტემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ.. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.008.033) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.008.033) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ 405086507) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 აგვისტოს №18.691.1031 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №112-126-ის მიმდებარედ არსებული 804 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.008.033) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნასიმისთვის" (ს/კ 405086507) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**